ხიშლოვანი

ეფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№5 (35) მაისი 2010 წელი

წმ. მოწამე ბასილიესკი

„მეუჭლებელი ქალთათვის მისაჭლებელია ღვთისა შიაჩ“

„ზღვა და სიმღერა“

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

„ზეუძლებელი კაცთათვის ზესაძლებელია ღვთისა მიერ“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობს. 19 მაისს მათთან ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი მოაბრძანეს. ეს ჩასახლება არ არის პირველი, რომელსაც მსგავსი პატივი ერგო წილად. მანამდე ხატი აფხაზეთიდან ახალახანს გადმოსულ თანამემამულეებს ხვდა ლილოში. ხატის მობრძანებისთვის პირველ სართულზე წინასწარ მომზადდა ოთახი. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა) დალოცა მასპინძლები და ყველამ ერთად ილოცა.

„ზეცაში ღვთისმშობელი აღემატება ერთად აღებულ ყველა ანგელოზს და ყველა წმინდანს, — ბრძანა მეუფემ, — ანუ ეს არის ღვთის შემდეგ უდიდესი სულიერი არსება, რომელსაც აქვს უდიდესი ძალა, ისმის კითხვა: რატომ დაგვიდგინა ღვთისმშობელი ღმერთმა? იმიტომ დაგვიდგინა, რომ საქართველოს ისტორია იყო ძალიან მძიმე. და აი ამ მრავალი განსაცდელის ჟამს იმისთვის, რომ ერს არ ეღალატა სარწმუნოებისათვის, მას სჭირდებოდა დიდი დამხმარე, დიდი შემწე. ჩვენ ღმერთმა ძალიან მძიმე ჯვარი მოგვცა, ძალიან ძნელი იყო საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება, ეროვნული ღირსების და თვითშეგნების შენარჩუნება იმიტომ, რომ იყო უამრავი ბრძოლა, უამრავი დამპყრობელი, რომლებსაც გველეშაპებივით უზარმაზარი ძალა ჰქონდათ, მთელ მსოფლიოს აზანზარებდნენ. დღესაც ასე გრძელდება. მათ სურდათ, რომ საქართველო ყოფილიყო მათი გავლენის ქვეშ. საქართველო მაინც რჩებოდა ერთგული თავისი სარწმუნოების, მამულისა და ეროვნებისა. ერს ღმერთმა მოანიჭა დიდი სულიერი ძალები, რომ გადარჩენილიყო. და მართლაც, ქართველი ერი იბრძოდა და დღესაც იბრძვის. ასე მოვიდა დღემდე და ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო არა მარტო გადარჩება, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდება. სწორედ ღვთის წყალობით, ღვთისმშობლის წყალობით საქართველო აუცილებლად გამთლიანდება. ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში, სამაჩაბლოში და არა მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ჩვენ დავბრუნდებით ტაო-კლარჯეთში, ჰერეთში და აღდგება საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იმიტომ, რომ ეს არის ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა...

ეს ჯვარცმა, რომელსაც გადის ჩვენი ერი, არის ჩვენი განწმენდის გზა, ეს არის ჩვენი სულიერი ამაღლების გზა. ამიტომ, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, მხნედ იყავით და განძლიერდით და ესევდით უფალსა, არ დაკარგოთ ღვთის იმედი და როდესაც ჩვენ გვიჭირს, გახსოვდეთ, რომ უფალი მაშინ ყველაზე ახლოა ჩვენთან და ჩვენ ვართ ახლოს უფალთან... როდესაც ჩვენ გამოვთქვამთ სამდურავს, როდესაც ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი ჯვარი აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენ ვკარგავთ მადლს. ვკარგავთ მადლს, რომელმაც უნდა განდევნოს ხილული თუ უხილავი მტერი საქართველოსი, რომელმაც უნდა გაამთლიანოს და გააბრწყინოს ივერია. ხშირად ჩვენ ვიღლებით და ვერ ვუძლებთ ამ მძიმე ჯვარს, ვიწყებთ დრტვინვას, ჩვენ გვიჭირს დავამყაროთ სასოება ღმერთზე, ვეძებთ მიწიერ დახმარებას და ხშირად ცოდვილ გზაზე ვდგებით, რომ ამით ჩვენი ჯვარი შევიმსუბუქოთ, სინამდვილეში კი ჩვენ ვკარგავთ სულიერს და შედეგად ვკარგავთ მიწიერსაც. ამიტომ საჭიროა ვიყოთ მტკიცენი და შეურყევლად ვიდგეთ სარწმუნოებასა ზედა, როგორც დღემდე იარა ჩვენმა წინაპარმა, ასე გავაგრძელოთ და ეს არ ჩაივლის უკვალოდ....

ჩვენ გვაკლია ერთობა, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“ და აი ეს ერთობა გვჭირდება, მაგრამ ეს ერთობა არ გვექნება, თუ ჩვენ არ ვიქნებით უფალთან, რადგანაც მხოლოდ უფალი გვაძლევს ძალას, რომ გავუძლოთ ამ გაჭირვებას. უფალი სახარებაში ბრძანებს: „გარეშე ჩემსა არა ძალგიძთ არა ერთი“. არაფერი არ შეუძლია ადამიანს, ვერც ერთ წინააღმდეგობას ვერ გაუძლებს ღვთის გარეშე...

მგზნებარეა ქართველი ერი და უყვარს ღმერთი, მაგრამ ამავე დროს, იგი ენდობა საკუთარ თავს. მას ჰგონია, რომ საკუთარი ძალებით მოერევა მტერს, საკუთარი ძალებით გაუძლებს განსაცდელს და საკუთარი ძალებით გადარჩება და სწორედ ეს მინდობა საკუთარ თავზე, ეს ამპარტავნება გვღუპავს ჩვენ. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ უფალს, დავუბრუნდეთ უფლისკენ მიმავალ წინამძღოლს, რომელიც დაგვიდგინა ღმერთმა — ეს არის დედაეკლესია და დღევანდელი მისი მეთაური, ჩვენი პატრიარქი. გავყვეთ ჩვენს ღვთისგან გამოგზავნილ მოციქულს, ნამდვილად ღვთის რჩეულ პიროვნებას, გავერთიანდეთ ყველანი ღვთის გარშემო, ეკლესიის გარშემო, ჩვენი სულიერი მამის გარშემო და იგი გაგვიყვანს, როგორც მოსემ გაიყვანა ებრაელი ერი, სამშვიდობოზე. ებრაელები მოსემ გამოიყვანა უდაბნოზე ეგვიპტიდან და მიჰყავდა აღთქმულ მიწაზე და როდესაც გაუჭირდებოდათ, მაშინ მოსეს ეჩხუბებოდნენ, დაგვაბრუნე ეგვიპტეშიო. არ შეიძლება გაჭირვების ჟამს დავკარგოთ რწმენა. უნდა გვქონდეს რწმენა

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ღვთისა, მისგან დადგენილი ეკლესიისა და ჩვენი ეკლესიის სულიერი მამებისა, ჩვენი პატრიარქისა განსაკუთრებით, დიდი მამისა, და ასეთი წინამძღოლი არათუ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს შეიძლება ხშირად არ ჰყოლია ასეთი დიდი პიროვნება და ამიტომ სულით არ უნდა დავეცეთ. ჩვენი ცხოვრების მიზანი არ არის ამქვეყნიური კეთილდღეობა, ტკბობა, ფუფუნება და განცხრომა. ეს ცხოვრება წამია მარადისობის წინაშე. ჩვენ გავჩნდით ხატად და მსგავსად ღვთისა და დავაფასოთ ეს, რომ ღმერთის შვილები ვართ და მოვიქცეთ, როგორც ღმერთის შვილები. და რას ნიშნავს ღმერთის შვილობა? ნიშნავს, რომ შენ უნდა მარადიულად იარსებო და იცხოვრო შენს ზეციერ მამასთან, ღმერთთან და ნუ გავცვლით მარადისობას ყოველდღიურ წარმავალ სიამოვნებაზე. ჩვენ გვაქვს მუდმივი უსიამოვნება, მუდმივი დამდურება ღვთისადმი და ერთმანეთისადმი იმიტომ, რომ ამქვეყნიური არ გვყოფნის, ამქვეყნიურის გამო ვართ უკმაყოფილო და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მიწიერი სიამოვნებისათვის მარადისობას ვწირავთ, ჩვენ უკვდავ სულს ვწირავთ. ამიტომ მივიღოთ მადლიერებით ის, რასაც ღმერთი გვაძლევს. ის უბედურება, რაც დაგვემართა, ისევ ჩვენთვის არის, ჩვენი განწმენდისათვის არის. რად გვინდოდა აფხაზეთში ცხოვრება, თუ კი ჯოჯოხეთში წავიდოდით, იმ ურწმუნოებაში, იმ უღმერთობაში, იმ ცოდვებში. ჯობია ვიყოთ ტანჯვაში, მაგრამ ვიყოთ უფალთან მარადისობაში, ვიდრე ვიყოთ ნეტარებაში და წავიდეთ ჯოჯოხეთში. არის თუ არა ასე? ამიტომ ვიყოთ საქმით ქრისტიანები, ვიყოთ უფალთან, მოვითმინოთ ჩვენი ჯვარი და უფალი აქაც, დედამიწაზეც, ჩვენთვის სამოთხეს დააწესებს, როგორც დააწესა დავით აღმაშენებლის დროს და როგორც დააწესა თამარ მეფის დროს. იმიტომ, რომ დავითმა და თამარმა თავი გაწირეს და ერი დააყენეს ჭეშმარიტების გზაზე. და მაშინ ოქროს ხანა დაუდგა საქართველოს. ჩვენც დაგვიდგება ოქროს ხანა, ივერია გაბრწყინდება, მაგრამ ჩვენ ეს უნდა დავიმსახუროთ. ჩვენ არ დაგვიმსახურებია ეს და არც



გვინდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ეს ჯვარი დამსახურებულად მივიღეთ. იმაზე მეტის ღირსი ვართ, ვიდრე დღეს ჩვენ ჯვარი გვაქვს. მოთმინებით ვატაროთ ჩვენი ჯვარი და ნუ ვიქნებით დრტვინვაში, ნუ ვიქნებით ურთიერთგანკითხვაში. გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს უფალი და მალე გამთლიანდება და გაბრწყინდება საქართველო. ხშირად ვსვამთ კითხვას: „როდის დავბრუნდებით აფხაზეთში?“ როდესაც ჩვენ დავუბრუნდებით უფალს, ჭეშმარიტად დავუბრუნდებით და არა გარეგნულად, არა მოჩვენებითად, მთელი არსებით, მთელი გულით და სულით. მაშინ ჩვენ ძალიან მალე, ჩვენთვის წარმოუდგენლად, წამისყოფით უფალი დაგვაბრუნებს აფხაზეთში. ეს შეიძლება მოხდეს თუნდაც ერთ წელიწადში, თუ ჩვენ დავუბრუნდებით უფალს.

გწამდეთ, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, უფლისა. უფლის სიტყვები არის ჭეშმარიტება და იგი ბრძანებს, რომ „შეუძლებელი კაცთათვის შესაძლებელია ღვთისა მიერ“. ღმერთისთვის ყველაფერი შესაძლებელია, უბრალოდ, ჩვენ არ მივყვებით მას. და უფალი გვეუბნება, რომ შეუძლებელია ორი ბატონის მსახურება და ერთი იგი უნდა მოიძულო და ერთი იგი უნდა შეიყვარო. შეუძლებელია ერთდროულად სიყვარული ამსოფლისა, მიწიერი, ამქვეყნიური ტკბობისა და ღვთისა. ჩვენ გვიყვარდეს ღმერთი და რასაც მოგვცემს ღმერთი, ჩავთვალოთ, რომ იმას ვიმსახურებთ, იმაზე მეტს ნუ ვითხოვთ. ღმერთი ყველაფერს მოგვცემს, ათასჯერ მეტს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ჩვენს თავს ვუსურვოთ, მაგრამ რაკი არ გვაძლევს, ე.ი. არ ვიმსახურებთ. ამიტომ ვენდოთ უფალს, მივენდოთ უფალს და უფალი გვაცხოვნებს“.

მეუფე დანიელის ქადაგების შემდეგ მოძღვრებმა დევნილთა ბინები აკურთხეს. ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი საერთო საცხოვრებელში რამდენიმე კვირის განმავლობაში იქნება დაბრძანებული, ყოველ დღე თითო სართულზე, სადაც ნებისმიერს მიეცემა საშუალება წაიკითხოს ლოცვები. ხატთან ყოველდღე იქნება მოძღვარი, რომელიც რჩევა-დარიგებას მისცემს მათ, ასევე აკურთხებს ჯვრებს, ხატებს, აღასრულებს ნათლობის საიდუმლოს.

ხატთან ერთად დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში ივერიელთა ერთობის ტრაქტატიც მიიტანეს, რომელზედაც ყველა მსურველს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეუძლია მოაწეროს ხელი, რადგან ეს არის ერთობა ყველასი, ვინც საქართველოში ცხოვრობს. ტრაქტატი 14 ოქტომბერს დაიდება სვეტიცხოველში, სვეტიცხოვლობის 1000 წლისთავზე.

„ზღვა და სივრცე“

ამ ორი ჯადოსნური სიტყვის მონატრება თან გაჰყვა მარადისობაში გადასულ დიდებულ პოეტსა და მამულიშვილ ჯანო ჯანელიძეს. ეს ის პიროვნებაა, რომლისთვისაც აფხაზეთი სიკვდილამდე მოუშუშებელი იარა იყო, ვისაც იქ, იმ ულამაზეს მხარეში, სიჭაბუკის ტკბილ მოგონებებთან ერთად ერთადერთი ვაჟის საფლავიც დარჩა. ფაქიზი სულის პოეტმა კარგად იცოდა ცრემლის ფასი. აკი თავად წერდა:

„ავწონე ოქრო, ავწონე ვერცხლი,
ავწონე ცრემლი ნამცეცა, მცირე,
როგორ გავოცდი და როგორ შევცბი,
რომ ცრემლი იყო ყველაზე მძიმე.“

მართლაც, აფხაზეთიდან დევნილთათვის, ვინც წლების მანძილზე მხოლოდ მოგონებებითა და იმედით ცხოვრობს, ცრემლი ზოგჯერ ერთადერთი ნუგეშია. მგოსანი თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას და იმას, რომ საკუთარ ძვალთშესალაგში არ ეღირსებოდა განსვენება და გულისტკივილით წერდა:

„როგორ მინდოდა, ეს ჩემი ძვლები
შენს თბილ ბუდარში მეც რომ ჩამეფლო,
დღეს სადღაც, უცხო მხარეში ვკვდები,
ო, სულო ჩემო, სულ ზემოთ, ზემოთ!..“

ჯანო ჯანელიძეს გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შეუსრულდა სამოცდაათი წელი. იუბილე აღნიშნა საქართველოს მწერალთა კავშირმა, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითმა კავშირმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აფხაზეთიდან დევნილმა საზოგადოებამ. თავისი მოკრძალებული წვლილი სულიერებისა და კულტურის ცენტრმაც შეიტანა. მან კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას შეუკვეთა და შეიქმნა ულამაზესი, სევდიანი, მონატერებით გაჯერებული სიმღერა „ზღვა და სივრცე“.

სწორედ ამ სახელწოდებით ჩატარდა მ.წ. 19 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ ჯანო ჯანელიძის ხსოვნის საღამო, რომელიც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოაწყო. მას ესწრებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, აფხაზეთის დევნილი საზოგადოება, პოეტის ოჯახის წევრები. საღამოს სცენარი ეკუთვნის თეატრმცოდნეს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატ ვაჟა ძიგუას.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა შემსრულებლებმა: საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მარლენ ეგუტიამ, ახალგაზრდა მსახიობებმა ოთარ კოვზირიძემ, ნინო გოშაძემ და ჯაბა ჯანაშიამ, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ (სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი) ვოკალურმა ჯგუფმა, კომპოზიტორმა, პიანისტმა გიორგი შავერზაშვილმა, ვიოლონჩელისტმა გიორგი ჯორჯაძემ, საოპერო მომღერლებმა: ლადო ათანელის სახელობის ვოკალისტთა კონკურსის ფინალისტებმა მარიამ ტურაშვილმა, ვახტანგ ჯაშიაშვილმა, პიანისტმა მარინე შენგელიამ, საესტრადო მომღერალმა გიორგი შარაბიძემ, ნორჩმა მომღერალმა ლიკა ჯგერენაიამ.

საღამო დაიწყო შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატით“ და აფხაზური ხალხური სიმღერა „ვარადოს“ ჩაწერით, რომელსაც ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად ასრულებდა ჩვენი დიდი თანამემამულე ზურაბ სოტკილავა. შემდეგ ერთმანეთს ცვლიდა ჯანო ჯანელიძის ლექსები და სიმღერები: „გუდისა“, საგალობელი „წმიდაო ღმერთო“, „ოდოია“, „ჩაგუნა“, „ჭიჭე ტურა“, „ვა გიორქუ მა“, ვიოლონჩელისტმა როიალის თანხლებით შეასრულა სენ-სანსის „გედი“. საღამოს აპოთეოზად იქცა ჯანო ჯანელიძის ლექსზე შექმნილი ნუნუ გაბუნიას „ზღვა და სივრცე“, რომელიც დაიწყო ცნობილმა საესტრადო მომღერალმა გიორგი შარაბიძემ და დაასრულა აფხაზეთიდან დევნილმა პატარა ლიკა ჯგერენაიამ.

შემოქმედი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან. მათ სულს მარადისობაში საგზლად მიყვება ამქვეყნად დათესილი სიკეთე. ასეთ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება სწორედ ჯანო ჯანელიძე, რომელმაც თავადაც იმ ღირებულებებთან დაივანა, რომელთა შესახებაც ამბობდა: „რაც ძვირფასი რამ გამაჩნდა, შეუერთდა დროს და სივრცესო“.

ჩჭენებშჩები

აბალბაგჩდბ ჩექისოჩის დეპიუტი

აფხაზეთი ქართველებისგან დაიცალა, მაგრამ დარჩა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც მშობლიურ მხარეში დაბრუნების იმედს არ კარგავს. ისინი ლტოლვილები არიან და რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, მშობლიურ სახლს, მიწას, ცას და ზღვას მოშორებული, დევნილობაში გატარებული თითოეული დღე, საოცრად მტკივნეული და მონატრების სევდით არის აღსავსე. სხვადასხვა თაობის დევნილებს ასაკი მოემატათ, ბავშვები დავაჟკაცდნენ და დაქალდნენ, მათ სულსა და ცნობიერებაში ბუნდოვნად არეკლილი აფხაზეთი კი მაინც შემორჩა. ხელოვანი ადამიანის სამყარო განსაკუთრებით მგრძნობიარეა, მათი „სულის საკუჭნაო“ — განსაკუთრებულად ტევადი. იქნებ სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა აფხაზეთიდან დევნილი, ახლა უკვე რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მოქმედი დრამის რეჟისურის სამაგისტრო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის, ლევან ხვიჩიას სამაგისტრო სპექტაკლში ასახული მოვლენების ასეთი სიმძაფრე და ყოვლისმომცველი ანარქიისა და ქაოსის ლაბირინთებში გზის გაკვლევის მცდელობა.

ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ, ხილული და უხილავი, ცნობიერი და არაცნობიერი, პირობითი და უპირობო, რეალური და ირეალური, უცვლელია და ერთ დიდ სცენაზე თამაშდება — ცხოვრების სცენაზე, რომელსაც კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე ასევე ერთი უცვლელი ავტორი და რეჟისორი ჰყავს. წარმოდგენაც ერთია და უცვლელი თავისი არსით. მხოლოდ დეკორაციები, კოსტიუმები და მონაწილეები იცვლებიან გადახალისების მიზნით. სხვადასხვა ჟანრი ერთმანეთს ცვლის და არა საზრისს. აქ ყველა როლი მთავარია და ადამიანები იმდენხანს თამაშობენ, სანამ არ მობეზრდებათ. მერე მათ ადგილებს სხვები იკავებენ. მოთამაშეები ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებენ; იბრძვიან, განიცდიან, ტირიან, ინტრიგებს აწყობენ, ამბოხებასაც, დახშული სივრცის კედლებს ღამის პეპლებივით ეხეთქებიან და ბოლოს, უსაშველოდ ღონემიხდილნი მაინც ზევით აღაპყრობენ მზერას. დაგროვილ კითხვებზე პასუხს ელიან, შველას ითხოვენ... ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან ხვიჩიამ მათ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენის ფიცარნაგზე სასტუმროს დროებითი საცხოვრებელი შეურჩია, როგორც ამქვეყნად მოსულ ყველა სტუმარს და როგორც აქაურობის პირობით მასპინძელს. აკრძალული ხილი აკრძალული მწვანე სასმელით, „აბსენტით“ ჩაანაცვლა, რაც სიტყვათა თამაშით ინგლისურიდან აქ არმყოფს ნიშნავს. რას ნიშნავს ეს სასმელი თავად მოქმედი გმირებისთვის? — ყველაფერს შეუცნობელს, შეუცნობელი კი საშიშია. აქ ღმერთს მმართველად მოიხსენიებენ, მმართველი მათთვის იგივე ღმერთია, რომელიც ამ პატარა სასტუმროს და მათ ცხოვრებას განაგებს. მას თავისი აპარტამენტები აქვს და მწვანე სასმელი, რომელიც არავინ უნდა დალიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ აღარ იქნებიან. იქ კი, იქ არავინ იცის, რა ხდება. „ფარსი დასრულდა. ეს ცხოვრება ვიცი რაცაა. ნუთუ იქაც ფარსი დამხვდება?“. ეს ფარსი აქ, ამ კონკრეტულ მომენტში ლევან ხვიჩიამ შეთხზა (პიესის ავტორი — ლევან ხვიჩია) და მანვე გაათამაშა.

დეკორაცია შავთეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. სამი თეთრი თეჯირით გარშემოტყმული სცენა ორი პატარა თეთრი ხის სკამით და ერთი დიდი გადმოყირავებული თეთრი დეკორატიული სკამით. ეს ყველაფერი სცენის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული ასეთივე პატარა თეთრი სკამის საფრთხის ქვეშ თრთის და კანკალებს (მხატვარი ქეთევან ნადიბაიძე). გრგვინვისა და ჭექა-ქუხილის ხმა მთელ სპექტაკლს თან სდევს, თითქოს განრისხებული ზევსი გამუდმებით აჯანჯღარებს და გონიერებისკენ მოუხმობს ცოდვის ბუდეში მოფუთფუთე ადამიანებს. სცენაზე უძრავად მოთავსებული სკამები მსახიობების — ლელა ალიბეგაშვილი, სოსო აბრამიშვილი, სალომე

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(დასაწყისი მე-5 გვ.)

ჭულუხაძე, ედმონდ მინაშვილი, ვანო დუგლაძე, ბექა სონღულაშვილი, კატო ჯაფარიძე, თეკლა დათებაშვილი — კომიკურად პათეტიკური და მაღალფარდოვანი მონოლოგების წარმოთქმის დროს სცენაზე სცენის როლს ასრულებენ. მასზე შემდგარი მოქმედი გმირები ძველი ოპერეტის მსახიობებს ემსგავსებიან და ხელების ფართო ჟესტიკულაციით, წამღერებული მეტყველებით და ხშირად სასიმღერო არიებით წარმოთქვამენ მათთვის განკუთვნილ ტექსტს. რეჟისორმა სპექტაკლი ფარსად აქცია და არავინ და არაფერი დაინდო: არც კაცი, არც ღმერთი, არც სიყვარული, არც სიძულვილი, არც ტრაგედია, არც კომედია, არც თეატრი და არც მისი მსახურნი. ხელოვნება ხომ სულის სარკეა და ამ სპექტაკლით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, რეჟისორს ტკივილის, ღალატისა და უსამართლობის განცდის საკმაოდ დიდი დოზა დაუგროვდა, რათა ასე დაეცინა სამყაროს კანონზომიერებისა თუ არაკანონზომიერებისათვის.

რეჟისორი საკმაოდ არაორაზროვნად მიგვანიშნებს ტრაგედიის ერთ-ერთ მწვერვალად აღიარებულ კოტე მარჯანიშვილის ბრწყინვალე ნამუშევრის „ურიელ აკოსტას“ მკვდრეთით აღდგენის ფაქტზე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. შავ-თეთრში გადაწყვეტილი წახნაგოვანი დეკორაცია, ზოგიერთი მსახიობის კოსტიუმი, ამაღლებული, ტრაგიკული პათოსის უტრირება და ამ პათოსის მიღმა არსებული ირონიული ქვეტექსტი იმაზე მიანიშნებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის, რაც შეიძლება ერთ დროს გენიალური, პროგრესული და სულისშემძვრელი იყო სამსახიობო შესრულების თვალსაზრისით, დღეს შეიძლება, სულ ცოტა, სასაცილო და კონტექსტიდან ამოვარდნილი მოგვეჩვენოს, ანუ, ტრაგედია კომედიად იქცეს. შეიძლება რეჟისორს მსგავსი არც არაფერი უგულისხმია, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოები იმით არის ღირებული, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავისი აზრი გამოიტანოს, თავის ასოციაციურ ნაკადს გაჰვეს, ამ ნაკადმა კი ზოგჯერ შეიძლება ერთი თეატრიდან მეორე თეატრში, ერთი საუკუნიდან მეორე საუკუნეში და ერთი სამყაროდან მეორე სამყაროში გადაგვისროლოს.

პიესის ავტორისა და რეჟისორის — ლევან ხვიჩიას მიერ შერჩეული ჟანრი თავისი ფორმით საკმაოდ თამამი, მსუბუქი და სხვადასხვა თეატრალური ხერხების აღრევის გამო ცოტათი დამაბნეველი და სუმბურულია. ეს ფარსია და იგი ფარშივით ამუშავებს სხვადასხვა კომპონენტებს, სანამ მისგან კერძი არ მომზადდება. რამდენად გემრიელი გამოვა იგი — მზარეულზეა დამოკიდებული, როგორი მოსანელებელი — მიმღების მომნელებელი ტრაქტის ვარგისიანობაზე.

ოფიციანტი პო (ედმონდ მინაშვილი) სინზე მოთავსებული მწვანე სასმელით შემოდის სცენაზე და თამაშის სურვილს გამოთქვამს. არა ბინძური, აზარტული, სასიყვარულო, სახიფათო, უაზრო ან ბავშვური თამაშის. არა კონკრეტული, განსაზღვრული, შემოსაზღვრული და ინიცირებული, არამედ ზოგადად თამაშის — ყველგან, ყველასთან და ყველაფრით — „თამაში ჭვავის ყანაში“. სცენის უკანა შემოსასვლელთან, ქანდაკებასავით მწუხრის ბინდბუნდში გახვეული პო, ნელ-ნელა იწყებს სვლას სცენის დიაგონალზე. ამაყად თავაწეული და გაჯგიმული თავმომწონედ მოემართება ჩვენკენ, ფეხებს ცხენის ფლოქვებივით ისვრის წინ, თითქოს დოღის დაწყებამდე მოთელვას გადის, მაყურებელს თავს აწონებს, კოხტაობს თავისი ჯიშიანი აღნაგობით და ელეგანტურობით, თავის სასარგებლოდ რომ განგვაწყოს. შემდეგ თეთრ ხელთათმანიან ხელს საზეიმოდ აღმართავს მაღლა და ასევე საზეიმოდ წარმოთქვამს „ძალიან მინდა თამაში. თამაში ჭვავის ყანაში“. მისი მოთხოვნა, სურვილი, კაპრიზი თუ ბრძანება იქ, ზემოთ, ნამდვილად ესმით, რადგან ჭექა-ქუხილის სახით თანხმობა ნათქვამია და თამაშიც იწყება. სცენაზე მონაცვლეობით შემოდიან სასტუმროს ბინადარნი და ჭადრაკის ფიგურებივით თითოეული საკუთარ სვლას ახორციელებს, ყველანი ერთად კი მომავალი დღის სადილისთვის ემზადებიან, რომელსაც ამ სასტუმროს მმართველი მართავს, მაგრამ ეს მზადება ფიქციაა. მათი საქმიანობაც ფიქციაა. ამ პერსონაჟებს პირადი ცხოვრებაც გააჩნიათ. სიყვარული, ეჭვიანობა, ღალატი, განშორება, შერიგება და ისევ... დარბიან, ფაციფუცობენ, ერთმანეთს ხელს უშლიან, მაგრამ ესეც ფიქციაა. ამ სპექტაკლში დიადი და ამაღლებული გრძნობების შემოტევას ტყუილად ნუ დაელოდებით. ეს ხომ ფარსია და სასიყვარულო გრძნობებს ან თავად მოქმედი პირები დასცინიან, ან იმდენად გადაჭარბებულად განიცდიან, რომ მაყურებელი დასცინის. მოკლედ, ასეც და ისეც, სარკაზმი, ირონია, ამაღლებულის დამდაბლება და დამდაბლებულის კიდევ უფრო დაკნინება ამ სპექტაკლის ამოსავალი წერტილია. რეჟისორი შეეცადა თავისი სენსორებით აღქმული სამყარო ჩვენს აღქმაშიც შემოეყვანა და მან ეს ნამდვილად მოახერხა. სიცრუე და ილუზია, რომელიც სპექტაკლის მოქმედი გმირებისთვის საჭადრაკო დაფაზე გადასაადგილებლად მთავარი ფიგურებია, ფინალში კულმინაციას აღწევს ამ ცხოვრებაში გამოტანილი საბოლოო დასკვნისა და იმ ცხოვრებაში მოსალოდნელი შედეგის სახით. ყველა მოქმედი გმირი ჭექა-ქუხილის ხმაზე დახოცილებივით ეცემა დაბლა, შემდეგ სხეულიდან გამოყოფილი სულივით წამოდგება. ნელ-ნელა მიემართებიან სცენის უკანა თეჯირისაკენ, საითაც მიაქვთ სკამი-სცენა და მასზე ალანს (ვანო დუგლაძე) შეაყენებენ საფინალო ფრაზის წარმოსათქმელად: „ნუთუ იქაც ფარსი დამხვდება?“ მათ ზემოთ აღმართულ რკინის კონსტრუქციის მოაჯირზე კი უცნობი გოგონა ჯიხურიდან (სალომე ჭულუხაძე), ლამარას (ლელა ალიბეგაშვილი) მიერ თავისი აბეზარი „პაკლონიკების“ (ედგარი — სოსო აბრამიშვილი, ალანი — ვანო დუგლაძე) დასაშინებლად გამოგონილი აჩრდილი, სათვალეებით და მხრებზე შალმოგდებული, გადმოეყუდება, როგორც მზრუნველი და კეთილი ბებო გადმოხედავს ფანჯრიდან ეზოში მოთამაშე ბავშვებს და მათი „უწყინარი ცელქობის“ შემხედვარე თავის ქნევით და ღიმილით თავისთვის ბუტბუტებს: „ო, თქვე ოინბაზებო, თქვენა...“

ხათუნა წულაძე
თეატრმცოდნე

წმიდა მოწამე ბასილისკო (დაახლ. +308) 22 (04.06) მაისი

მოწამე ბასილისკო (+308) წმიდა თეოდორე ტირონის (ხს. 17 თებერვალს) ძმისწული იყო და იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) დროს ძმებთან, ევტროპისა და კლეონიკესთან ერთად აღესრულა ქრისტესთვის. კლეონიკე და ევტროპი ჯვარზე გააკრეს (ხს. 3 მარტს), მოწამე ბასილისკო კი კომანში (დასავლეთ საქართველო) გადაასახლეს. საპყრობილეში მყოფ ბასილისკოს უფალმა აუწყა, რომ მოწამეობრივად აღესრულებოდა. წმიდანმა დილეგის მცველებს სთხოვა, მშობლიურ სოფელში გაეშვათ ოჯახთან გამოსამშვიდობებლად. დარაჯებმა, რომლებიც პატივს სცემდნენ წმიდანს, შეუსრულეს მას თხოვნა. როცა აგრიპამ ეს ამბავი გაიგო, განრისხდა და მკაცრად დასაჯა დარაჯები. საპყრობილეში დაბრუნებულ ბასილისკოს ბორკილები დაადეს, ფეხზე კი ლურსმნებგაჩრილი რკინის ჩექმები ჩააცვეს და კომანში გაგზავნეს. კომანში ჩასული პაპანაქებისაგან შეწუხებული მცველები ერთ სახლში შევიდნენ დასასვენებლად, მშიერ-მწყურვალი წმიდა მოწამე კი მცხუნვარე მზის ქვეშ ხეზე მიაბეს. მოულოდნელად მიწა იძრა, კლდე გაიპო და წყარომ ამოხეთქა. მიწისძვრით შეშინებული მაგისტროსი, ჯარისკაცები და ოჯახის დიასახლისი ტროიანა გარეთ გამოცვივდნენ და, მომხდარი სასწაულით განცვიფრებულებმა, მოწამე გაათავისუფლეს. წმიდანთან სოფლის მცხოვრებლები მოდიოდნენ და კურნებას იღებდნენ. ბოლოს მოწამე მმართველს მიჰგვარეს. მან კერპების თაყვანისცემა მოსთხოვა წმიდა ბასილისკოს. მოწამემ უპასუხა: „მე ყოველ ჟამს ვწირავ უფალს სადიდებელ და სამადლობელ მსხვერპლს“. წმიდანი სამსხვერპლოსთან მიიყვანეს. მოულოდნელად ზეციდან ცეცხლი გარდამოხდა, სამსხვერპლო დაწვა, კერპები კი მტვრად აქცია. მმართველის ბრძანებით წმიდანს თავი მოჰკვეთეს, გვამი კი მდინარეში გადააგდეს. წმიდა ბასილისკო აღესრულა 308 წელს. ქრისტიანებმა გამოისყიდეს მისი წმიდა ნაწილები და პატივით დაფლეს. მალე აქ გაშენდა წმიდა ვასილისკოს სახელობის ტაძარი. კომანში გადმოსახლებულ წმიდა იოანე ოქროპირს (ხს. 13 ნოემბერს) სიკვდილის წინ გამოეცხადა წმიდა ბასილისკო და აუწყა: „ხვალ ჩემთან იქნები“. წმიდა მოწამე ბასილისკოს მოღვაწეობა ხალხს მისი წამების თვითმხილველმა, წმიდა ევსეგნიოსმა (ხს. 5 აგვისტოს) აცნობა.

წმ. ბასილისკოს წყარო

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

1 ივნისი (სამშ.) — წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა.
2 ივნისი (ოთხშ.) — წმ. ნინოს მშობლების — ღირ.ზაბულონისა და სოსანას ხსენება.
3 ივნისი (ხუთშ.) — მოც. სწორთა კონსტანტინე მეფისა (337) და ელენე დედოფლის (327) ხსენება.
4 ივნისი (პარ.) — მოწ. ვასილისკოს (კომანში წამებულის — 308) ხსენება.
5 ივნისი (შაბ.) — წმ. მეფის მირიანის და დედოფალ ნანას ხსენება.
6 ივნისი (კვ.) — ათონის წმიდა მთაზე გაბრწყინებულ ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილ მამათა ხსენება.
7 ივნისი (ორშ.) — წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახლ. 850).
13 ივნისი — სულთმოფენობიდან მე-3 კვირა, მოციქულ ერმის (სამოცდაათთაგანის) ხსენება.
14 ივნისი (ორშ.) — ღირ: შიო ახლის, დავით, გაბრიელ და პავლე გარეჯელთა (1696) ხსენება.
20 ივნისი — სულთმოფენობიდან მე-4 კვირა, მოწ. თეოდოტე ანკვირელის (303) ხსენება.
21 ივნისი (ორშ.) — მოწ. თევდორე მღვდლის (კველთელის — 1609) ხსენება.
22 ივნისი (სამშ.) — ღირ. იოანე შავთელ-გაენათელის (XIII) ხსენება.
24 ივნისი (ხუთშ.) — მოც. ბართლომესა და ბარნაბას (I) ხსენება.
25 ივნისი (პარ.) — ღირ: იოანე (თორნიკე) მთაწმინდელისა (X) და ღირ. ისიდორე სამთავნელის ხსენება (VI).
26 ივნისი (შაბ.) — მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის (XVIII) ხსენება.
27 ივნისი — სულთმოფენობიდან მე-5 კვირა, წინასწარმეტყველ ელისეს (X ს. ქრ. წინ) ხსენება.
29 ივნისი (სამშ.) — მოწ. ქაიხოსრო ქართველის ხსენება (1558).
30 ივნისი (ოთხშ.) — მოწ. შალვა ახალციხელის ხსენება (1227).

ჩვენი მოძღვარი
ამაღლება (კითხვა-პასუხი)

— „საქმე მოციქულთაში“ (საქ. I, 1-4) ვკითხულობთ, რომ მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი „ორმეოცთა დღეთა ეჩვენებოდა მათ (მოციქულებს) და ეტყოდა სასუფევლისათვის ღმრთისა“. რატომ არის ასეთი ხაზგასმა რიცხვ 40-ზე?

— რიცხვი 40 არცთუ იშვიათად ფიგურირებს წმიდა წერილში: 40 წელი მოჰყავდა უდაბნოში მოსეს ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები აღთქმული ქვეყნისაკენ; თვით მოსე სინას მთაზე 40 დღე მარხულობდა; შემდგომად ნათლისღებისა მაცხოვარი 40 დღე უდაბნოში იყო გასული და ეშმაკისაგან გამოიცდებოდა; უფალმა სათნო იჩინა და შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა 40 დღის განმავლობაში მოციქულებს (და არა მარტო მათ) ეცხადებოდა და განსწავლიდა, ამზადებდა მათ ამაღლების სახილველად და სულიწმიდის მისაღებად, რათა ადამიანის უძლურ ბუნებას შეემეცნა ეს უდიდესი საიდუმლო, საიდუმლო ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებისა.

ამდენად ვფიქრობთ, რომ რიცხვი 40 ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდს გულისხმობს, რაც ადამიანის ღმერთთან მიახლებას სჭირდება.

— რა დღესასწაულია ამაღლება?

— ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღესასწაულია. იგი ათთორმეტთაგან მოძრავ დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება, ხოლო მისი აღნიშვნის თარიღს აღდგომის მოძრავი დღესასწაული განსაზღვრავს, და იგი აღდგომიდან მეორმოცე დღეს, (აღდგომიდან) მეექვსე კვირის ხუთშაბათს მოიწევა. ამ დღესასწაულის დაწესება წმიდა წერილში აღწერილმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ — მაცხოვრის ხორცით ზეცად ამაღლებამ განაპირობა **(მკ. XVI, 16-20; ლკ. XXIV, 50-53; საქმ. მოც. I, 4-12).**

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე დედამიწაზე თავისი მყოფობის ბოლო დღეს ერთად შეკრებილ მოციქულებს გამოეცხადა და უბრძანა, არ განშორებოდნენ იერუსალიმს და მოლოდინი ჰქონოდათ მათდამი აღთქმული **„სხვა ნუგეშინისმცემლის“** მოვლინებისა. მან მოციქულები იერუსალიმიდან ბეთანიამდე მიიყვანა, ზეთისხილის (ელეონის) მთასთან და გზად მიმავალი, თავისი (ე.ი. ქრისტეს) ეკლესიის მოწყობაზე ესაუბრებოდა. ზეთისხილის მთის მწვერვალზე უფალმა აკურთხა მოციქულები და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა.

— მაცხოვარი მოციქულებს აღუთქვამს „სხვა ნუგეშინისმცემლის“ მოვლინებას, რაზეა აქ საუბარი?

— აქ საუბარია სულიწმიდაზე, რომელიც განაბრძნობს და განსწავლის ადამიანებს იმის შესახებ, რაც უფალმა მათი ხსნისათვის განაჩინა. აღნიშნული ცხადად არის წარმოჩენილი ჰიმნოგრაფიაშიც. ასე მაგალითად:

... „ნუ დაგვიტეობ აწ ობლად... არამედ ვითარცა იგი აღმითქუ, მომივლინენ ჩვენ <u>ყოვლადწმიდა სული</u> სახიერი თანამფლობელი შენი, <u>განმანათლებლად სულთა ჩვენთა“;</u>

„უფალი ამაღლდა ზეცად, რათა <u>მოგვივლინოს ნუგეშინისმცემელი,</u> ცათა განჰმზადეს საყდარი და ღრუბელმან აღსავალი. ანგელოსთა დაუკვირდა კაცთა რა ჰხედვიდეს უზესთაეს ქერუბიმთა, რომელი იგი მამასა მიჰგვარა აწ ძემან ღვთისამან და, აზიარა დიდებას თვისსა“ (იხ. ამაღლების განგების მწუხრის ჟამნი, „ღაღადვჰყავსა ზედა“ მე-4 და პირველი დასდებლები) და სხვა.

— რაში მდგომარეობს ამ დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა?

<u>— ამაღლება,</u> ისე როგორც ჯვარზე ვნება და მკვდრეთით აღდგომა, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების უცილობელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და უშუალო კავშირი აქვს <u>**პასექის**</u> დღესასწაულთან.

ასე განვსაჯოთ: იუდეველები სჯულიერ პასექს (ძველი აღთქმის პასექს) დღესასწაულობდნენ — ეგვიპტის მიწიდან პალესტინაში (აღთქმულ ქვეყანაში) გადასვლას. ჩვენც ვდღესასწაულობთ პასექს, ოღონდ სახარებისეულ პასექს — **ქრისტეს ჰიპოსტასში** ჩვენი ადამიანური ბუნების სიკვდილიდან სიცოცხლეში, ხრწნილებიდან უხრწნელებაში გადასვლას (იხ. Беседы (омилии) святителя Григория Паламы, ч. I, 1993, gv. 215).

დრო მაცხოვრის დამდაბლებისა — კაცობრივი სახით მოვლინებისა დამთავრდა ჯვარზე ვნებითა და დაფლვით. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა მიეცა რა... „ყოველი ხელმწიფებაი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (მთ. XXVIII. 18), დადგა დრო მისი **განდიდებისა,** მაგრამ უხეში და ცოდვიანი მიწა აშკარად არ არის უფლის საბრძანებელი, რადგან მიწა საყოფელია მათთვის, ვინც მიწისსაგანია, ხოლო უფალი, გარდამოხდა რა ზეცით (ინ. III, 13), მიწისსაგანი არ არის.

შემდგომად აღდგომისა, მისი სხეული შეიცვალა და სხვა თვისებების მატარებელი გახდა: იგი უხილავიც იყო და ხილულიც, ხორცი ესხა და დახშულ კარში გადიოდა, საკვებს იღებდა და არ ექვემდებარებოდა ცვლილებებს. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა მაცხოვარი 40 დღე იმყოფებოდა დედამიწაზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მაშინ იყო ხილული, როცა თავს გამოუცხადებდა მოციქულებს.

ამდენად, უკვდავი, განდიდებული, განღმრთობილი უფლის სხეულის საყოფელი ზეცა გახლავთ, ვიდრე მიწა და ამიტომაც ამაღლდა იგი ზეცად. ჯვარზე ვნებით უფალმა ყველა, ვისაც მისი მოლოდინი ჰქონდა, ჯვრის სიმაღლემდე აღამაღლა, რათა ახლა ყველა, ვინც გოლგოთის მსხვერპლის თანაზიარია — ზეცად აღამაღლოს.

— როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარს ჰქონდა უხრწნელი სხეული, მისთვის არ არსებობდა ფიზიკური დაბრკოლება, დახშულ კარში შედიოდა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საყოველთაო აღდგომის შემდეგ ჩვენც ასეთივე ხორცს შევიმოსავთ?

— საღმრთო წერილიდან ვიცით, რომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ადამიანთა სხეულები არსობრივად ისეთივე იქნებიან, როგორიც ეკუთვნოდათ მათ სულებს ამქვეყნად ცხოვრების დროს, მაგრამ მოხდება მათი ფერისცვალებაც.

ყველაზე უწინ მართალთა სხეულები შეიქნებიან უხრწნელნი და უკვდავნი. მათ საერთოდ ვერ მიეკარება ამჟამინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უძლურებანი და სისუსტენი და იქნებიან სულიერნი, ზეციურნი და მიწიერი სხეულის მოთხოვნილებებს მოკლებულნი. უფლის სიტყვისაებრ, აღდგომის შემდგომი ცხოვრება მიემსგავსება უსხეულო სულთა — ანგელოზთა ცხოვრებას (ლკ. 20,3). რაც შეეხება ცოდვილებს, მათი სხეულებიც უეჭველად აღდგებიან ახალი სახით და მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს, მაგრამ ამასთანავე მათზე აისახება ცოდვილის ფშვინვიერი მდგომარეობაც.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

— ჰიმნოგრაფიაში თუ არის ასახული ამაღლების დღესასწაულის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა?

— უწყება მაცხოვრის ამაღლების შესახებ საღვთისმსახურო ტექსტებში უფრო განვრცობილად არის წარმოჩენილი სახარებისეულ თხრობასთან შედარებით. მათში ცხადად არის გადმოცემული და გახსნილი ამაღლების დღესასწაულის მნიშვნელობა ცოდვილი ადამიანის ხსნასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

„შეაერთენ რა თავსა თვისსა ადამიანნი, ბუნება პირველ-შთასრული საიღრმეთა შინა ქუეყანისათა, ზესთა ჰყავ იგი ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა და უფლებათა ზესკნელისათა დღეს თანა ამაღლებითა შენითა, რამეთუ ვითარცა შეიყუარე შეიტკბე, და ვითარცა შეიტკბე შეაერთე თავსა თვისსა,.... ვნებითა შენითა შენთანა ადიდე იგი....“ (იხ. ამაღლების განგების მწუხრის ჟამნი, „ლიტიასა ზედა“ მე-5 დასდებელი), ანდა:

„.. რომელმან იგი სათნო-იყო შენგან უმამოდ განკაცება ღმერთმან, რათა ხატი თვისი განაახლოს განხრწნილი ვნებათაგან, და ცთომილი იგი მხეცთა მიერ წარტაცებული ცხოვარი ჰპოვოს, და ბეჭთა იტვირთოს და მამასა მიჰგვუაროს, და თვისსა ნებასა და ზეცისა ძალთა შეაერთოს იგი, და აცხოვნოს სოფელი ღვთისმშობელო, ქრისტემან რომელსა აქუს დიდი წყალობა“ (იხ. ზატიკის პერიოდის მე-5 კვირის განგების მწუხრის ჟამნი, „უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა“ დასდებელთა „აწდას“ მუხლი) და სხვა.

— ძველ აღთქმაში ცნობილია მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლების შემთხვევები. რას ვიტყოდით ამის შესახებ?

— მართლაც და ქრისტემდე იყო შემთხვევები მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლებისაც კი. იერემია წინასწარმეტყველი სულის მიერ იყო ატაცებული, ამბაკუმი — ანგელოზის მიერ, (განსაკუთრებით კი მათ შორის) ცეცხლოვანი ეტლით ილია წინასწარმეტყველი იქნა ზეცად აყვანილი, მაგრამ მაცხოვრის ამაღლებასთან არცერთის შედარება არ შეიძლება. მათი ატაცება ერთგვარი გადაადგილება, ერთგვარი ამაღლება იყო, რომელიც წმიდა გრიგოლი პალამას სწავლებით არ სცილდებოდა მიწიერ საზღვრებს. ასევე ისინი, ვინც მკვდრეთით აღსდგნენ, გარდაიცვალნენ და კვლავ მიწად მიიქცნენ. ამდენად, ჩვენ განსაკუთრებით მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას და მის ზეცად ამაღლებას ვზეიმობთ იმათთან შედარებით, რაზეც ზევით შევნიშნეთ (იხ. იგივე, გვ. 216).

— პიროვნება თანაზიარი უნდა იყოს ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა. გთხოვთ, გვესაუბროთ ამ საკითხზე.

— პასუხის გაცემას შორიდან დავიწყებთ. ყველა ამ ქვეყანაზე მცხოვრები, რამდენადაც შესაძლებელია, თანაზიარი უნდა იყოს **ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა,** რისი **დასაწყისიც** ნათლისღება გახლავთ, **შუა ნაწილი** — ღვთივსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვაა, ხოლო **დასასრული** კი ვნებებზე გამარჯვება (იხ. იგივე, გვ. 217).

როცა დიდ დღესასწაულებზე ვსაუბრობთ, უნდა გავაცნობიეროთ ორი რამ:

1) რა მოხდა მაშინ, ისტორიულად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, და

2) რა ხდება ახლა ჩვენთვის საღმრთო აღმშენებლობით.

ამასთან დავძენთ, რომ ყოველივე, რაც ადამიანთა ხსნას ემსახურება და რაც აღასრულა მაცხოვარმა, **ის ადამიანურ ბუნებას** ეხება, და ყოველივე ის, რაც ხდება ახლა ჩვენთვის (არა აქვს მნიშვნელობა XXI საუკუნეში ცხოვრობს ადამიანი, თუ IV საუკუნეში ცხოვრობდა), **პიროვნებას (ჰიპოსტასს)** ეხება.

პიროვნულად ხდება ყოველი ადამიანის „შეერთება“ უფალთან, ანუ ხდება მისი **განღმრთობა.** ამდენად, ასეც ვიტყვით. ადამიანი საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობით ერთგვარად იკურთხება, ასევე იკურნება მისი **გონება**, გული და **ნება.** აღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია და იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ადამიანს გადარჩენის სურვილი აქვს.

კურნავს რა ადამიანის **გონებას**, მაცხოვარი კაცთა ცნობიერებას ღვთიურისაკენ მიმართავს, მიჰმადლებს მათ ძალას ღვთისადმი ლოცვების აღვლენისა, თანდათან მოაკვდინებს ცოდვილ აზროვნებას, ხორციელ, ვნებით სახეს აზროვნებისა, სახარებისეული სიტყვების შეთვისებით კი გონებას გულთან აერთიანებს, ორივეს კი უფალთან. მაცხოვარი უხილავი, იდუმალი ქმედებებით ცოდვილ ადამიანთა გონებას ლოცვითი სიტყვებისაკენ წარმართავს, ცოდვით ქმედებებისაგან განშორების სურვილს გაუჩენს, აღძრავს მათში ღვთიურ ზრახვებს და ეშმაკის მრავალრიცხოვანი ხრიკებით შერყეულ გონებას განამტკიცებს.

ჩვეულებრივ, ცოდვილთა გონება ხშირად შეუმჩნევლად იბინდება და იწყვლება ეშმაკეული ფიქრების შემოტევით. **მაცხოვარი გონების მადლისმიერი გაცისკროვნებით** ეშმაკეულ ბინდს გაფანტავს, ბოლოს უღებს გაურკვევლობას, ძალასა და მხნეობას მიჰმადლებს ადამიანებს, რათა შეიცნონ ჭეშმარიტება. იგივე ეხება **გულისა** და **ნების** განკურნებასაც.

და კვლავ დავძენთ. ჩვენი სულის ცხონებისათვის უცილობლად თანაზიარნი უნდა ვიყოთ საღმრთო ისტორიისა. აი, როგორ კარგად ჩანს ეს ამაღლების განგების მწუხრის ჟამნის „უფალო ღაღად-ვჰყავსა ზედა“ მე-3 დასდებელში:

— „მთათა შინა წმიდათასა, განვიცდით ჩვენ ამაღლებასა შენსა, ქრისტე ღმერთო ნათელო და ბრწყინვუალებაო დიდებისა მამულისაო, მივჰხედავთ ჩუენ ხატსა შენსა საკრველსა, ელვარესა, და განუცდელთა თუალთა მიერ, თაყვანის-ვცემთ შენთა ცხოველსმყოფელთა ვნებათა, და ვადიდებთ საფლავით აღდგომასა შენსა დიდებულსა და პატივს-ვჰსცემთ ყოვლადდიდებულსა და ღვთივბრწყინვალესა დიდებით ამაღლებასა შენსა. შეგვიწყალენ ჩვენ ყოვლადძლიერო მეუფეო შენნი მადიდებელნი“.

ანუ ჩვენ ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, მთელი არსებით **განვიცდით, მივჰხედავთ, თაყვანს-ვცემთ, ვადიდებთ, პატივს-ვჰსცემთ** უფალს, რითაც ერთგვარად საღმრთო ისტორიის თანაზიარნი ვხდებით. ლოცვების, სახარებისეული სიტყვების, საგალობლების მოსმენით იწმინდება ჩვენი **გონება**, იწმინდება ჩვენი **გული**, იკურნება ჩვენი **ნება**. და არამხოლოდ ამით, არამედ ეკლესიური ცხოვრებით, ღვთივსათნო საქმეთა აღსრულებით. ეს გახლავთ ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ზემოთ მივუთითეთ და რაც ნათლად არის გადმოცემული ზემომოხმობილ დასდებელში.

— როდესაც ამაღლებული მაცხოვარი თვალს მიეფარა, ორი ანგელოზი მოციქულებს ეუბნება, რომ... „იესო რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქ. I, 11). რას ნიშნავს ანგელოზთა ეს სიტყვები?

— ეს ნიშნავს იმას, რომ მოვა დრო და დადგება ქვეყნის დასასრული, იქნება მეორედ მოსვლა და უფალი მოვა დიდებით, რათა განსაჯოს ყოველი ადამიანი. ეს გახლავთ პირდაპირი მინიშნება მეორედ მოსვლაზე.

თბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის
ლიტურგიკის ლექტორი
დეკანოზი გიძინა (გუნია)

ახალგაზრდა რეჟისორის დებიუტი



ჩვენი ავხარები

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი